ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

16-37

დადგენილება № ------

5 დეკემბერი
"----" ---------- 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო
არეალის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–2პუნქტის , 165-ე მუხლის მე–4 ნაწილის, და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 34[1]–ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადგინდეს ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სარეაბილიტაციო არეალი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. რეაბილიტაციის განმახორციელებელ სუბიექტად განისაზღვროს „ააიპ – თბილისის განვითარების ფონდი".

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისში სარეაბილიტაციო არეალის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 11 ნოემბერის №31.08.1264 დადგენილება

4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

ხარისპირლიტაციის არეალი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მინიციპალიტეტში სარეაბილიტაციო არეალის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) პროექტის მიღების მიზეზი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სარეაბილიტაციო არეალის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება განაპირობა საკანონმდებლო აქტებში განხორციელებულმა ცვლილებებმა.

ბ) პროექტის ძირითადი არსი

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზე ქალაქ თბილისის მთავრობის“ 2011 წლის 11 ნოემბრის №31.08.1264 დადგენილებით ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია სარეაბილიტაციო არეალი. ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება. სივრცითი მოწყობისა და ქალ|აქ-თმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34[1]–ე_მუხლში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიების განვითარების ან/და რეაბილიტაციის მიზნით სარეაბილიტაციო არეალის დადგენის უფლებამოსილება მიენიჭა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. წარმოდგენილი პროექტით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ნაცვლად, სარეაბილიტაციო არეალს დაადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გ) პროექტის ფინანსურ–ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე. პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი და არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

დ) პროექტის ავტორ(ებ)ი და წარმდგენი:

დ.ა) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ.ბ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.